1963 | 3.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 25 (222) 10 სექტემბერი 1963 წელი

3049.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნაწილი I

განყოფილება მეორე

393. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ზევადიანი სამსახურის ზემდეგის ვ. ვ. ოლხოვიკის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ი. შარიპოვს რწმუნების სიგელები გადასცა ლივანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ს. ხაიდარმა.

საინფორმაციო ცნობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებში.

რსფსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

394. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის შესახებ ცაგერისა და ლენტეხის რაიონებში.

განყოფილება მეორე

395. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

396. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

განყოფილება მეორე

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

393 **ზევადიანი სამსახურის ზემდეგის ვ. ვ. ოლხოვიკის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ბავშვის სიცოცხლის გადარჩენისას გამოჩენილი მამაცობისათვის ზევადიანი სამსახურის ზემდეგი ვლადიმერ ვასილის ძე ოლხოვიკი დაჯილდოვდეს წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წ. 29 აგვისტო.
№ 1645-VI.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ დადებული ხელშეკრულების სარატიფიკაციოდ წარდგენა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინება, რომ რატიფიცირებულ იქნეს ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ, ხელმოწერილი მოსკოვში 1963 წლის 5 აგვისტოს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის მთავრობების მიერ, და დასკვნისათვის გადასცა იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ი. შარიპოვს რწმუნებების სიგელები გადასცა ლიბანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ს. ხაიდარმა

ა. წ. 26 აგვისტოს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ი. შარიპოვმა მიიღო ლიბანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სალიმ ხაიდარი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელჩს ახლდა საელჩოს ატაშე ნ. ფაიადი.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსი კ. უ. ჩერნენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე ა. დ. შჩიბორინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ლ. თ. ტეპლოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ი. შარიპოვი ესაუბრა ს. ხაიდარს. საუბარს დაესწრნენ ს. ბ. ლაპინი და კ. უ. ჩერნენკო.

საინფორმაციო ცნობა

საიმის არხის საბჭოთა ნაწილისა და კუნძულ მალი ვისოცკის ფინეთის რესპუბლიკისათვის იჯარით გადაცემის თაობაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა 1962 წლის 27 სექტემბერს მოსკოვში დადეს ხელშეკრულება, რომ საიმის არხის საბჭოთა ნაწილი და კუნძული მალი ვისოცკი იჯარით გადაეცეს ფინეთის რესპუბლიკას.

ხელშეკრულება რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1963 წლის 22 ივლისს; ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ — 1963 წლის 7 ივნისს.

1963 წლის 27 აგვისტოს ფინეთის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ა. ვ. ზახაროვმა და ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ახტი კარიალაინენმა, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას ასრულებს, ჰელსინკში გაცვალეს სარატიფიკაციო სიგელები.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლას საბჭოთა კავშირის მხრივ ესწრებოდნენ: სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ფინეთში ე. ს. ხოციალოვი, სამხედრო ატაშე გენერალ-მაიორი ვ. ი. ლაზარევი, საელჩოს მრჩევლები კ. პ. ბოიცოვი, პ. ნ. საველიევი, ა. ნ. სელიხოვი და ფინეთში სსრ კავშირის საელჩოსა და სავაჭრო წარმომადგენლობის სხვა თანამშრომლები.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლას ფინეთის მხრივ ესწრებოდნენ: პარლამენტის თავმჯდომარე კ. კლეემოლა, გზათა და საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი ვ. საველა, საიმენის არხის შესახებ მოლაპარაკების მონაწილე ფინეთის დელეგაციის წევრები გუბერნატორები უ. კიუკასი, ა. რანტა, ლ. რიიკონენი და სხვები, საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი ი. ხალამა, საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული განყოფილების გამგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ფონ ნუმერსი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სავაჭრო-პოლიტიკური განყოფილების გამგე ო. მატილა, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების გამგე მ. იაკობსონი და ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვა თანამშრომლები.

ხელშეკრულება ძალაში შევიდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს.

სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ა. ვ. ზახაროვმა და ფინეთის პრემიერ-მინისტრმა ახტი კარიალაინენმა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დროს სიტყვები წარმოთქვეს.

ხელშეკრულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში" (№ 36, 1963 წლის 4 სექტემბერი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებში

1963 წლის 31 აგვისტოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ო. ვ. კუუსინენის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა. სხდომაზე განიხილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად შეტანილი წინადადება ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, ხელშეკრულებისა, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა სახელით ხელი მოაწერეს მოსკოვში 1963 წლის 5 აგვისტოს.

მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დეპუტატმა ა. ა. გრომიკომ.

სხდომაზე გამოვიდნენ კომისიათა წევრები, დეპუტატები: ზ. ვ. პუშკარიოვა, ა. ა. არზუმანიანი, ლ. ნ. სოლოვიოვი, ვ. პ. ლეონი, მ. ი. კუჭავა, ს. პ. პავლოვი, პ. ნ. ფედოსეევი, ი. გ. პეტროვსკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებმა განხილვის შემდეგ ერთსულოვნად მოიწონეს ხელშეკრულება ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ და გადაწყვიტეს ურჩიონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს რატიფიკაცია უყოს ამ ხელშეკრულებას.

თავმჯდომარემ, დეპუტატმა ო. ვ. კუუსინენმა ხაზი გაუსვა დადებული ხელშეკრულების დიდ მნიშვნელობას მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ და განსაკუთრებით აღნიშნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის საგარეო საქმეთა კომისიების ყველა წევრის სრული ერთსულოვნება, როგორც ერთ-ერთი გამოვლინება იმისა, რომ მთელი ხალხი იწონებს მშვიდობისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას, რომელსაც თანამიმდევრულად ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა დეპუტატმა რ. ი. მალინოვსკიმ და სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ი. დ. მოროხოვმა.

სხდომას დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები ი. ვ. სპირიდონოვი და ი. ვ. პეიფე.

რსფსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებების შესახებ

თათრეთის ასსრ აზნაკაევოს სამრეწველო რაიონის შექმნა

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 27 აგვისტოს ბრძანებულებით დამტკიცებულია თათრეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება, რომ შეიქმნას აზნაკაევოს სამრეწველო რაიონი ცენტრით მუშათა ახალშენ აზნაკაევოში.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

394 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის შესახებ ცაგერისა და ლენტეხის რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ცაგერისა და ლენტეხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, გამომდინარენი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, გარკვეულ ღონისძიებებს ატარებენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით. უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა კულტურულ დაწესებულებათა ქსელი. ამჟამად ცაგერისა და ლენტეხის რაიონებში არის 4 კულტურის სახლი და 28 სასოფლო კლუბი, 43 ბიბლიოთეკა და 20 კინოდანადგარი. სოფლად მუშაობს 176 თვითმოქმედი წრე და აგიტმხატვრული ბრიგადა, რომლებმაც წელს 185 კონცერტი გამართეს მინდვრად მომუშავე კოლმეურნეებისათვის.

ამასთან ერთად აღინიშნება, რომ მშრომელთა დეპუტატების ცაგერისა და ლენტეხის რაიონული საბჭოების აღმასკომები და სასოფლო საბჭოების უმრავლესობა არ აქცევს საჭირო ყურადღებას კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, როგორც მშრომელთა აღზრდის, მათი შეგნების ამაღლებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი წინსვლისათვის მათი მობილიზაციის საშუალებას. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მიმდინარეობს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანებისაგან მოწყვეტით, არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექცევა საჭირო ყურადღება სამეცნიერო და ათეისტურ პროპაგანდას. ცოტა რამ კეთდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის. იშვიათად ტარდება ლექციები და მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებთან და სხვ.

სერიოზული ნაკლოვანებებია სასოფლო კლუბების და კულტურის სახლების მუშაობაში. ცაგერის რაიონის სოფელ ზუბის სასოფლო კლუბში თვითმოქმედი წრეები ფორმალურად არსებობენ. მიმდინარე წელს კლუბში არ ჩატარებულა არც ერთი მხატვრული ღონისძიება. ასეთივე მდგომარეობაა ისუნდერის, წიფერჩის, ჩხუტელის, ლენტეხის რაიონის ჟახუნდრის და სხვა სასოფლო კლუბებში. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაობაში არ მონაწილეობს საზოგადოებრიობა, კლუბებთან და ბიბლიოთეკებთან არ არის შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოები; იქ კი, სადაც ისინი არსებობენ, უმოქმედობას იჩენენ.

მხატვრული თვითმოქმედი წრეების მუშაობა კამპანიურ ხასიათს ატარებს— ოლიმპიადებისა და რაიონული დათვალიერების შემდეგ ფაქტიურად ეს წრეები მორიგ დათვალიერებამდე ყოველგვარ საქმიანობას წყვეტენ. სათანადო ყურადღება არ ექცევა სოფლის კულტურული დაწესებულებების ხელმძღვანელთა კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეს. არასაკმაო მუშაობა ტარდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად. კულტურის სახლებისა და კლუბების გამგეებად მუშაობენ ისეთი პირები, რომლებსაც არ გააჩნიათ სათანადო განათლება და გამოცდილება.

მოსახლეობის წიგნით მომსახურების საქმეშიც არსებობს მთელი რიგი ნაკლოვანებანი. ცაგერის რაიონის ზუბის, დეხვირის, ალპანის, ცხუკუშერის, ორბელის და ლენტეხის რაიონის მუწდის, ნაცულის, საყდრის, ფანაგის და სხვა სასოფლო ბიბლიოთეკებში სუსტადაა გაშლილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის პროპაგანდა, ნაკლებად ტარდება მკითხველთა კონფერენციები და ლიტერატურული საღამოები.

სასოფლო საბჭოები და კოლმეურნეობათა გამგეობები ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ სოფლის კულტურული დაწესებულებების მატერიალური ბაზის განმტკიცებისადმი. როგორც სასოფლო კლუბების, ასევე ბიბლიოთეკების უმრავლესობა მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში. სოფლებში კინოსურათების ჩვენება ხდება არარეგულარულად ზოგიერთ სოფელში არ არის მაყურებელთა დარბაზები და კინოდანადგარები, კინოფილმების ჩვენება ხდება მხოლოდ ღია ცის ქვეშ. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია კინომომსახურების საქმე ცაგერის რაიონის უცხერის, ნაკურალეშის, სურმუშის, წილამიერის კოლმეურნეობებში. კინომომსახურების გარეშეა დარჩენილი ლენტეხის რაიონის ხაჩეშისა და ბავარის მოსახლეობა.

არადამაკმაყოფილებლადაა მოწყობილი მოსახლეობისათვის ჟურნალ-გაზეთების მიწოდების საქმე. სოფლის მოსახლეობა, როგორც წესი, ჟურნალ-გაზეთებს ღებულობს 3-4 დღის დაგვიანებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაგერისა და ლენტეხის სასოფლო საბჭოების განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობას, იშვიათად იხილავენ სხდომებზე მათ საკითხებს. ლენტეხის რაიონის რცხმელურის სასოფლო საბჭოს აღმასკომს მიმდინარე წელს არცერთხელ არ შეუმოწმებია და არ განუხილავს საკოლემურნეო კლუბებისა და ბიბლიოთეკების მუშაობის საკითხი, ხოლო ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომს არც თავის სხდომაზე და არც საბჭოს სესიაზე ორი წლის განმავლობაში არ დაუყენებია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საკითხი. სუსტია დახმარება და კონტროლი ლენტეხისა და ცაგერის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებზე კულტურის სამინისტროს მხრიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოთ ცაგერისა და ლენტეხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მკვეთრად გააუმჯობესონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა, რისთვისაც:

ა) კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩათვალონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საბჭოთა ხალხის წარმატებების პროპაგანდის გაუმჯობესება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე გამოცდილების დანერგვა, კოლმეურნეების კულტურული დონის ამაღლებისათვის ბრძოლა;

ბ) სისტემატურად ჩაატარონ მოსახლეობაში ლექცია-მოხსენებები თანამედროვე აქტუალურ თემებზე, კინოსეანსები და თვითმოქმედი კოლექტივების წარმოდგენები და კონცერტები;

გ) კლუბებისა და ბიბლიოთეკების მუშაობაში ფართოდ ჩააბან საზოგადოებრიობა, ყოველხმრივ წაახალისონ მრავალი რაიონისა და სოფლის გამოცდილება საზოგადოებრივ საწყისებზე კულტურის უნივერსიტეტების, ბიბლიოთეკების და სხვათა შექმნის შესახებ. უფრო აქტიური გახადონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების საბჭოების საქმიანობა;

დ) მეტი ყურადღება მიაქციონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეს. იზრუნონ მათი იდეურ-პოლიტიკური დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ე) გადაჭრით გააუმჯობესონ მოსახლეობის კინომომსახურება, მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული კინოდანადგარები და უზრუნველყონ ყველა სოფელში კინოსურათების რეგულარული ჩვენება, მიიღონ საჭირო ზომები სოფლების რადიოფიცირებისა და მოსახლეობის რადიომომსახურების გაუმჯობესებისათვის;

ვ) მიიღონ ზომები კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაფერისი შენობებით და საჭირო ინვენტარით უზრუნველსაყოფად;

ზ) მოაწესრიგონ ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა საფოსტო კორესპონდენციის დროულად ჩაბარების საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დახმარება გაუწიოს ცაგერისა და ლენტეხის რაიონების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს ამ დადგენილებით აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე რეგულარულად დააყენოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საკითხები და დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი მათი მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1963 წლის 6 სექტემბერი.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

395 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მეშახტის დღესთან დაკავშირებით და სამთო მრეწველობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. იური შიოს ძე **ბირბიჭაძე** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ითხვისის მაღაროთსამმართველოს მემანქანე.

2. ოთარ პარმენის ძე **გედევანიშვილი** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გასამხედროებული სამთო მაშველი ნაწილის უფროსი.

3. ალექსანდრე ნიკიფორეს ძე **გვანცელაძე** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს მთავარი ინჟინრის მოადგილე.

4. სერგო თედოს ძე **დრიაევი** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 3 შახტის მებიგე.

5. ათანასე ანდროს ძე **ივანოვი** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოს მებიგე.

6. ჟორა ტრიფონის ძე **კვანტიძე** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ახალი ითხვისის მაღაროთსამმართველოს მებიგე.

7. ამბროსი გრიგოლის ძე **კიპაროიძე** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს მბურღავი.

8. გაგიკ მიკირტიჩის ძე **მეგერიანი** — ახალციხის მაღაროთსამმართველოს № 1 შახტის ამწმენდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. გრიგოლ ბესარიონის ძე **მიროტაძე** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ კაპიტალური რემონტების კანტორის სამთო სამუშაოების უფროსი.

10. ალექსანდრე იაგორის ძე **პაპუაშვილი** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ცენტრალური ელექტრო-მექანიკური სახელოსნოს ელექტრო-ზეინკალი.

11. შოთა ისმაილის ძე **რეხვიაშვილი** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 6 შახტის ხე-ტყის მიმწოდებელი.

12. ვლადიმერ ევგენის ძე **სალინაძე** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს პეროქსიდული მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის უფროსი.

13. ვასილ იაკობის ძე **სერგიენკო** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 5 შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადირი.

14. ილია კონსტანტინეს ძე **ტეფნაძე** — ახალციხის მაღაროთსამმართველოს № 1 შახტის ამწმენდი.

15. მიხეილ იანჭოს ძე **ჭუთელია** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 5 შახტის გამყვანი.

16. პოლიკარპე პარმენის ძე **ყიფშიძე** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს ამწმენდი.

17. ნიკოლოზ მოსეს ძე **შუკაკიძე** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ პერევისის მაღაროთსამმართველოს ამწმენდი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 24 აგვისტო.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

396 **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ**

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით და სასამართლო ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ანდრო ვლადიმერის ძე **აბაშიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

2. სურენ გეგამის ძე **ადამიანი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

3. ტარასი სევერიანეს ძე **ბუბაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

4. ხასიბ ყურბანის ძე **გაჯიევი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. იპოლიტე ტარიელის ძე **გვათუა** — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო მოსამართლე.

6. იოსებ ვასილის ძე **გოგაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

7. გიორგი ყირიმის ძე **იოსავა** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

8. ვერა ვასილის ასული **კაჩმაზოვა** — სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე.

9. ლუბა მოსეს ასული **კოხრეიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

10. ვლადიმერ ივანეს ძე **მაისურაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

11. ნინო გრიგოლის ასული **მირიანაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

12. ვიქტორ ვასილის ძე **მუშკუდიანი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

13. პავლე ანტონის ძე **ნადირაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს განყოფილების უფროსი.

14. ბალასან თათეოზის ასული **ნაზარიანი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფროსი კონსულტანტი.

15. თამარ ვლადიმერის ასული **პაიჭაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

16. აპოლონ ვლადიმერის ძე **ფალავანდიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

17. სერგო იასონის ძე **ქაჯაია** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

18. ვლადიმერ ნესტორის ძე **ღვინჯილია** — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

19. ალექსანდრე არსენის ძე **ღულუნიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

20. ნური მამედის ძე **ცეცხლაძე** — აჭარის ასსრ ჩაქვის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.

21. გიორგი კონსტანტინეს ძე **ცქიტიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

22. ადელინა ივანეს ასული **ხონიაკინა** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

23. ტოსია მიხეილის ასული **ჯაფარიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. თეიმურაზ ესტატეს ძე ჯაჯანაშვილი — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს რევიზორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 30 აგვისტო.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 6 სექტემბრის ბრძანებულებით დააჯილდოვა **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლის“** მედლებით 220 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	17
ქ. გორიდან	5
ზუგდიდის რაიონიდან	22
თეთრიწყაროს რაიონიდან	88
თიანეთის რაიონიდან	22
ცხაკაიას რაიონიდან	16
ხაშურის რაიონიდან	50